# ახალციხის მუნიციპალიტეტის
# საკონკურსო კომისიის სხდომის
# ო ქ მ ი № 3

ქ.ახალციხე 17 ივლისი 2013 წ

**სხდომას ესწრებოდნენ:**

ოლეგ სანდროშვილი - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, სატენდერო კომისიის აპარატის ხელმძღვანელი, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;

ბესიკ ბლიაძე - სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებელის დროებით მოვალეობის შემსრულებელი;

მალხაზი ასპანიძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომრის მოადგილე;

მალხაზ ჟუჟნაძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის დროებით მოვალეობის შემსრულებელი;

ნინო გოგოლაური - საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი;

მაკა სამსონიძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი;

თენგიზ ზედგინიძე- საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი;

ემზარ მღებრიშვილი- საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარები სამსახურის მთავარი სპეციალისტი არქმშენინსპექციის საკითხებში;

ბესარიონ მიქელაძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის წამყვანი სპეციალისტი მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის საკითხებში.

მანანა ბალიაშვილი - საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი –სახელმწიფო შესყიდვების საკითხებში.

**დღის წესრიგი:**

ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ: „ქ. ახალციხეში ქუჩების გარე განათების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის“, კონკურსის საშუალებით შესყიდვის მიზნით, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე 2013 წლის 05 ივლისს 17:08 **საათზე** გამოცხადებულ № 845 კონკურსში კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების შერჩევა-შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა.

**მოისმინეს:**

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ ოლეგ სანდროშვილმა საკონკურსო კომისიას მოახსენა , რომ სხდომას მდივნობას გაუწევს საკონკურსო კომისიის წევრი მაკა სამსონიძე.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ბესიკ ბლიაძემ საკონკურსო კომისიას მოახსენა, რომ ახალციხის მუნიციპალიტეტის „ქ. ახალციხეში ქუჩების გარე განათების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის“, კონკურსის საშუალებით შესყიდვის მიზნით, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე 2013 წლის 05 ივლისს 17:08 **საათზე** გამოცხადებულ № 845 კონკურსში

ახალციხის მუნიციპალიტეტში საკონკურსო წინადადება წარმოადგინა ერთმა კონკურსანტმა- **შპს „მშენსერვისი 2012** "-მა შემდეგ თანხაზე: 900 (ცხრაასი ) ლარი.

**განხილვა:**
**შპს „მშენსერვისი 2012** "-ის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება.

**კომისიამ დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. **შპს „მშენსერვისი 2012** "-ის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება სრულად შეესაბამება საკონკურსო განცხადებასა და საკონკურსო პირობებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2. ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ „ქ. ახალციხეში ქუჩების გარე განათების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის", კონკურსში საკონკურსო კომისიის წევრთა შეფასებით გამარჯვებულად გამოვლინდეს **შპს „მშენსერვისი 2012** ".

3. დაევალოს საკონკურსო კომისიის წევრს მანანა ბალიაშვილს, **შპს „მშენსერვისი 2012** "-ის წერილობითი ინფორმირება და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შომზადება, გაფორმების შემდეგ ხელშეკრულების ატვირთვა ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

4. საკონკურსო კომისიის წევრს მანანა ბალიაშვილს დაევალოს წინამდებარე ოქმისა და საკონკურსო დოკუმენტაციის, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ ქსელში განთავსება არაუგვიანეს 2013 წლის 17 ივლისისა.

| | |
|---|---|
| საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე | ო. სანდროშვილი |
| საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე | ბ. ბლიაძე |
| საკონკურსო კომისის მდივანი | მ. სამსონიძე |
| საკონკურსო კომისიის წევრები | მ. ჟუჟუნაძე |
| | ნ. გოგოლაური |
| | მ. ასპანიძე |
| | თ. ზედგინიძე |
| | მ. ბალიაშვილი |
| | ე. მღებრიშვილი |
| | ბ.მიქელაძე |